საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01-34/ნ

2018 წლის 27 ნოემბერი

ქ. თბილისი

,,ავტორიზებული აფთიაქის სანებართვო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგების ფორმის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 31 მარტის №01-14/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

,,ავტორიზებული აფთიაქის სანებართვო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგების ფორმის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 31 მარტის №01-14/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 31/03/2017, 470230000.22.035.016430) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. **ბრძანების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის, „ფარმაკოლოგიურ საშუალებათა კლინიკური კვლევის, ფარმაცევტული წარმოების, ავტორიზებული აფთიაქის, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ სამკურნალო საშუალებათა იმპორტის ან ექსპორტის ნებართვების გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 14 ოქტომბრის №176 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-9 პუნქტისა და ,,საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ო" ქვეპუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**".

2. **ბრძანებით დამტკიცებული №1 დანართი (ავტორიზებული აფთიაქის სანებართვო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგების ფორმა) ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.**

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი — **დავით სერგეენკო**